


ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსათვის

„ჩემი ხმა - ჩემი მომავალი“

პრეზენტიორი

ნათალია ხოხიაშვილი



პროექტი დაფინანსდა სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ. საგრანტო პროექტების განხორციელების პროცესში სწავლების ცენტრმა კონტრიბუციის სახით, უზრუნველყო ერთი საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება სამიზნე ჯგუფისთვის, რომლის ფარგლებში პროექტში მონაწილე ახალგაზრდებსთვის მათი უშუალო ჩართულობით მოეწყო იმიტირებული არჩევნები.



პროექტის განხორციელების საფუძველი

- 2018 წლის 16 აპრილს გამოცხადებული საგრანტო კონკურსი

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

- ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები
“ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსათვის”



პროექტის მიზნები

- **პროექტის საბოლოო მიზანი**

ახალგაზრდა ამომრჩევლებში ჩატარებული საინფორმაციო/საგანმანათლებლო კამპანიის შედეგად რუსთავის, გარდაბნის, მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტების ახალგაზრდა ელექტორატში ჩამოყალიბდა ძალზედ მნიშვნელოვანი მენტალური ცვლილებები, თითოეულმა ამომრჩეველმა გააცნობიერა შემდეგი პრინციპი - სახელმწიფო, პრეზიდენტი მოსახლეობისა და ამომრჩევლისათვის და არა პირიქით.

- **პროექტის უშუალო მიზნები:**

-რუსთავის, გარდაბნის, მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტების ახალგაზრდა ამომრჩეველთა ინფორმირება 2018 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისათვის;

- ამომრჩეველთა ინფორმირება საქართველოში სახელმწიფო მოწყობის, პრეზიდენტის უფლებამოსილების და არჩევნის წესზე, ელექტორატსა და მის მიერ არჩეულ ინსტიტუციებს შორის ანგარიშვალდებულების ძირითადი პრინციპების შესახებ.



პროექტის ამოცანები

- საქართველოს პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები და არჩევის წესი;
- ახალგაზრდებში სახელმწიფოებრივი აზროვნების განვითარება, მათი ჯანსაღი პოზიციის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რაც ქვეყნის განვითარებას შეუწყობს ხელს;
- ამომრჩეველთა უფლებები და კენჭისყრის დღის პროცედურები;
- ახალგაზრდების მიერ არჩევნების რეალური დანიშნულების აღქმა;
- ახალგაზრდების საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბება;
- ახალგაზრდებში პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტივობის გაზრდა;
- ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონის ამაღლება;



განხორციელების გზები და ღონისძიებების გრაფიკი

პროექტის განხორციელებისთვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ პროექტის ხელმძღვანელი, ლოჯისტიკის მენეჯერი და რეგიონის კოორდინატორი. კონკურსის საფუძველზე შევარჩიეთ ორი ტრენერი/მომხსენებელი. ჯგუფმა განახორციელა ღონისძიებები შემუშავებული გრაფიკის მიხედვით

01.08.2018 – 15. 08.2018	მოსამზადებელი სამუშაოები. ქ.თბილისი. გრ. ლორთქიფანიძის 22
07.09.2018	შეხვედრა ახალგაზრდებთან. სართიქალის საზოგადოებრივი ცენტრი
07.09.2018	შეხვედრა ახალგაზრდებთან რუსთავი. ექვთიმე თაყაიშვილის სახ. უნივერსიტეტი
08.09.2018	2 შეხვედრა ახალგაზრდებთან . რუსთავი. ექვთიმე თაყაიშვილის სახ. უნივერსიტეტი
09.09.2018	შეხვედრა ახალგაზრდებთან გარდაბანი, სოფ. ნაზალოს საჯარო სკოლა
09.09.2018	შეხვედრა ახალგაზრდებთან გარდაბანი. კულტურის ცენტრი
10.09.2018	2 შეხვედრა ახალგაზრდებთან ბოლნისი. მთავარი ბიბლიოთეკა
11.09.2018	შეხვედრა ახალგაზრდებთან ბოლნისი. მთავარი ბიბლიოთეკა
11.09.2018- 12.09.2018	3 შეხვედრა ახალგაზრდებთან მარნეული. კულტურის ცენტრი



განხორციელების გზები

პროექტი განხორციელდა ქვემო ქართლის 4 მუნიციპალიტეტში: რუსთავი, გარდაბანი, ბოლნისი და მარნეული. ახალგაზრდებისთვის შეხვედრა/სემინარები ჩატარდა წინასწარ შერჩეულ ადგილებში: რუსთავში - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის უმაღლეს სასწავლებელში, გარდაბანში - ააიპ "გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში, სართიჭალის საზოგადოებრივ ცენტრში და სოფ. ნაზალოს საჯარო სკოლის შენობაში, ბოლნისში - ბოლნისის მთავარ ბიბლიოთეკაში, მარნეულში - კულტურის ცენტრში.

თითოეულ მუნიციპალიტეტში ჩატარდა 3-3 შეხვედრა, ანუ სულ 12 შეხვედრა/სემინარი. ჯგუფები დაკომპლექტდა გენდერული ბალანსის დაცვით. მონაწილე ახალგაზრდებს გადაეცათ საინფორმაციო ფლაერები შესაბამის მუნიციპალიტეტებში ხალხმრავალ ადგილებში დასარიგებლად. სემინარებზე ასევე ეწყობოდა მოდელირებული საარჩევნო დღის ჩვენება, რაშიც მონაწილეობას ახალგაზრდები იღებდნენ.

სწავლების ცენტრმა კონტრიბუციის სახით, უზრუნველყო ერთი საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება სამიზნე ჯგუფისთვის, რომლის ფარგლებში პროექტში მონაწილე ახალგაზრდებისთვის მათი უშუალო ჩართულობით მოეწყო იმიტირებული არჩევნები.



- 192 მონაწილეს გადაეცა ბლოკნოტები, გულსაბნევეები, ფლაერები კლენდრები და სხვა საჩუქრები გაფორმებული პროექტში მონაწილე ორგანიზაციების ლოგოებით.





რაოდენობრივი მაჩვენებლები

- ჩატარდა 12 შეხვედრა ოთხივე მუნიციპალიტეტში წინასწარ შერჩეულ ადგილებზე;
- სულ შეხვედრებს დაესწრო 192 ბენეფიციარი, აქედან 95 ქალი და 97 მამაკაცი.
- ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებიდან 30 ეთნიკურად აზერბაიჯანელი (მამაკაცი 20, ქალი 10) და 15 ეთნიკურად სომეხი (მამაკაცი 7 და ქალი 8)
- პროექტის მიმდინარეობას აშუქებდა საინფორმაციო სააგენტო „ჯიემთივი“

ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსათვის



- საინფორმაციო შეხვედრები რუსთავსა და გარდაბანში მუნიციპალიტეტებში



ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსათვის



- საინფორმაციო შეხვედრები ბოლნისსა და მარნეულში





- პროექტის შესრულების წინასწარი სამუშაო პროცესი





- კონტრიბუციის დღე



გადღობა ყურადღებისთვის!



პროექტი დაფინანსდა სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ. საგრანტო პროექტების განხორციელების პროცესში სწავლების ცენტრმა კონტრიბუციის სახით, უზრუნველყო ერთი საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება სამიზნე ჯგუფისთვის, რომლის ფარგლებში პროექტში მონაწილე ახალგაზრდებსთვის მათი უშუალო ჩართულობით მოეწყო იმიტირებული არჩევნები.